

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №2

ქ. მარტვილი

8 თებერვალი 2021 წელი

სხდომა დაიწყო 14:00 სთ-ზე დამთავრდა 16:00 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ალექსი გაბისონია, ალექსანდრე ახვლედიანი, ზურაბ მელიავა, რამაზ ხურცილავა, თორნიკე ჯანაშია, გიორგი გაბუნია, ლაშა ქობალია, ლევან სურმავა, ელდარ თოდუა, გიორგი რუხაია, ბორის მიქავა, რომან ფონიავა, ირინა გადელია, კობა დარჯანია, გიორგი ხორავა, ზურაბ ბიგვავა, ელიზბარ ახვლედიანი, დავით ბარამია, შალვა ბახია, გოგი ბასილაია, გოჩა ლაშხია, ზაზა რუხაია, ზაურ ჯახუა, დათო ხელაია, გიზო ხარებავა.

ასევე ესწრებოდნენ: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ალექსანდრე ხურცილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე აკაკი ხუნწელია, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი გაბისონია.

მოისმინეს 1: სხდომის თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი და სთხოვა საკრებულოს წევრებს აზრი გამოეთქვათ დღის წესრიგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე. კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 24, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 8 თებერვლის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 8 თებერვლის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 8 თებერვლის განკარგულება №4 სხდომის ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 8 თებერვლის სხდომის დღის დამტკიცების შესახებ;
/მომხსენებელი - ალექსი გაბისონია, საკრებულოს თავმჯდომარე/
2. მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ;
/მომხსენებელი - ალექსანდრე ხურცილავა მერის პირველი მოადგილე/
3. მარტვილის მუნიციპალიტეტში კურორტ ლეზარდეს ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ.
/მომხსენებელი - ალექსანდრე ხურცილავა მერის პირველი მოადგილე/

მოისმინეს 2: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ალექსანდრე ხურცილავას მოხსენება მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა გაეცლოთ საკითხის წინ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 24, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს „მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N3 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მოისმინეს 3: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ალექსანდრე ხურცილავას მოხსენება „მარტვილის მუნიციპალიტეტში კურორტ ლებარდეს ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვას: ლევან სურმაჯამ, ზურაბ მეღიაჯამ. მათ აღნიშნეს რომ ისინი ეთანხმებიან მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის ალექსანდრე გრიგალავას მიერ ინიცირებულ დადგენილების პროექტს „მარტვილის მუნიციპალიტეტში კურორტ ლებარდეს ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ“.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა გაეცლოთ საკითხის წინ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 24, წინააღმდეგი 0

დაადგინეს: დამტკიცდეს „მარტვილის მუნიციპალიტეტში კურორტ ლებარდეს ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტში კურორტ ლებარდეს ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 8 თებერვლის დადგენილება N4 სხდომის ოქმს თან ერთვის./

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალექსი გაბისონია